Student Journal of Social Sciences

სტუდენტთა ჟურნალი
სოციალურ მეცნიერებებში

#3, დეკემბერი, 2017

# რელიგიის გავლენა სოციალური ქცევის ტიპებზე

ნატა ქირია, მარიამ მუქერია

სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: qiria.tuki@gmail.com muqeriamari@gmail.com;

## აბსტრაქტი

ადამიანები მოქმედებენ განსხვავებულად და მათ ქცევას აქვს განსაზღვრული ტიპი. მათი მოქმედება ხშირ შემთხვევაში მიემართება სოციუმს, ამიტომ კვლევის ფარგლებში განვიხილეთ სოციალური ქცევის ტიპები და მათზე მოქმედი ფაქტორები. მსოფლიო ღირებულებების ფონდის საქართველოში ჩატარებული მეექვსე ტალღის კვლევის ბაზის მიხედვით შევეცადეთ დაგვედგინა თუ რამდენად ზემოქმედებს რელიგია ისეთ სოციალური ქცევის ტიპებზე, როგორებიცაა კონფორმულობა და ჰედონიზმი. კითხვარში გამოყენებულია შვარცის სკალის კითხვები, რომლებიც ზომავენ კოფორმულობასა და ჰედონიზმს. ისინი დავაკავშირეთ რელიგიურობის ისეთ ინდიკატორებთან, როგორებიცაა რელიგიის მნიშვნელობა, რელიგიური ჩართულობადა ა.შ. აღწერითი სტატისტიკური ოპერაციებისა და კორელაციების მეშვეობით დადგინდა, რომ კავშირი რელიგიურობასა და სოციალური ქცევის ტიპებს შორის მცირეა, რაც ეწინააღმდეგება შვარცის თეორიას. განსხვავება შვარცის სკალასა და კვლევის შედეგებს შორის შესაძლოა აიხსნას კითხვარის ადაპტირებისა და ქართულ კულტურულ რეალობაზე მორგების საჭიროებით, რადგან გამოკითხულთა ნაწილი თავს მიაკუთვნებდა, როგორც ჰედონისტური ასევე კონფორმული ღირებულებების ადამიანს, რაც შვარცის მოდელის მიხედვით ურთიერთდაპირისპირებული ცნებებია. საკითხის სიღრმისეულად შესასწავლად მივმართეთ მეთოდთა ტრიანგულაციას და ჩავატარეთ თვისებრივი კვლევა ფოკუს-ჯგუფების გამოყენებით. კვლევის ფარგლებში ჩატარდა 2 ფოკუს-ჯგუფი, რომლებშიც მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტები. ფოკუს-ჯგუფებმა აჩვენა, რომ რელიგია ზემოქმედებს სოციალური ქცევის ტიპებზე ტრადიციული ღირებულებების მეშვეობით. მიუხედავად იმისა რესპონდენტი ჩართული არის თუ არა რელიგიურ ცხოვრებაში, მათზე რელიგიის ზემოქმედება მაინც შეიმჩნევა და ეს განსაკუთრებით ვლინდება პიროვნების აღზრდისა და ღირებულებების ჩამოყალიბების პროცესში. ფოკუს-ჯგუფის მონაწილეთა აზრით რელიგია კონფორმულს ხდის ადამიანს და მოუწოდებს ჩარჩოებში მოაქციოს საკუთარი ქმედება.


**საძიებო სიტყვები:** ჰედონიზმი, კონფორმულობა, რელიგიური ჩართულობა, სოციუმი.

## შესავალი

ადამიანები ერთმანეთისგან განსხვავდებიან. მათ აყალიბებს ის სოციო-კულტურული გარემო, სადაც იბადებიან და იზრდებიან. მათ ქცევაზე უამრავი ფაქტორი მოქმედებს დაბადებიდან, როგორიცაა ოჯახი, რელიგია, სოციუმი. რელიგია არის ისეთი საზოგადოებრივი ინსტიტუტი, რომელიც პირდაპირ მოქმედებს ინდივიდთა

ქცევაზე, ვინაიდან იგი არის დოგმათა სისტემა, რომელიც ადამიანს კარნახობს სწორად ცხოვრების წესს. ხშირ შემთხვევაში რელიგია ინდივიდს აწვდის ღირებულებებს და აყალიბებს უფრო კონფორმულ ადამიანად. პიროვნებას, რომლისთვისაც რელიგია მნიშვნელოვანია ეშინია ზებუნებრივი ძალების და წარმოდგენების (მაგ. ჯოჯოხეთის არსებობა), რომელსაც რელიგია უქმნის მას. ამიტომ ცდილობს უსიტყვოდ მიიღოს ის წესები, რომელიც დაეხმარება სიკვდილის შემდეგ მოიპოვოს სულიერი სიმშვიდე. როგორც აღვნიშნეთ რელიგია ადამიანს აყალიბებს კონფორმულად, ასევე თრგუნავს ჰედონისტურ ღირებულებებსა და სურვილებს მასში. ამიტომ მორწმუნე ადამიანი უფრო კონფორმული და ნაკლებად ჰედონისტურია. იგი ადვილად ეგუება რელიგიის მიერ მოწოდებულ წესებს და მიჰყვება მათ, რათა იცხოვროს სწორად.

რელიგია მნიშვნელოვანი სოციალური ინსტიტუტია. ამიტომ მნიშვნელოვანია ვიკვლიოთ რელიგიის გავლენა ადამიანთა ცხოვრებაზე. სწორედ ამას ისახავს კვლევა მიზნად, შვარცის მოდელზე დაყრდნობით, დავადგინოთ ახდენს თუ არა გავლენას რელიგია სოციალური ქცევის ტიპებზე.

კვლევის ძირითადი ამოცანებია დაადგინოს: 1) რამდენად ახდენს რელიგია გავლენას სოციალური ქცევის ტიპების ჩამოყალიბებაზე; 2) რამდენად მოქმედებს რელიგიური ჩართულობა კონფორმულობის ჩამოყალიბებაზე; 3) რამდენად ახდენს რელიგია გავლენას ადამიანში ჰედონიზმის დათრგუნვაზე. ასევე ჩვენი კვლევის ამოცანაა შევამოწმოთ აღნიშნული ჰიპოთეზის მართებულება უკვე არსებული ბაზის საფუძველზე.

## სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღირებულებითი მოდელი ფსიქოლოგიასა და სოციოლოგიაში ეკუთვნის შალომ შვარცს (Shalom H. Schwartz). იგი თავის ღირებულებით თეორიაში გამოყოფს ათ უნივერსალურ ადამიანურ ღირებულებას, რომელსაც აფუძნებს ადამიანის სამ ძირითად მოთხოვნილებას. ეს მოთხოვნილებებია: ადამიანის ბიოლოგიური მოთხოვნილება, სოციალური ინტერაქციის კოორდინაციის მოთხოვნა და ადამიანთა ჯგუფების თვითგადარჩენისა და კეთილდღეობის მოთხოვნილება. ამ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად კი ადამიანებს სჭირდებათ შეიმუშაონ კონკრეტული მიზნები და მათი საშუალებით იურთიერთონ საზოგადოებასთან. ამ თეორიის მიხედვით ასევე არსებობს ღირებულებების განმსაზღვრელი ათი მოტივი (თვითმართვა, სტიმულაცია, ჰედონიზმი, მიღწევა, ძალაუფლება, უსაფრთხოება, კონფორმულობა, ტრადიცია, გულმოწყალება, უნივერსალიზმი). ისინი ქმნიან კონკრეტულ მოტივაციურ კონტინიუმს და რაც უფრო ახლოს არის ამ კონტინიუმში ღირებულებები

ერთმანეთთან მით უფრო მსგავსია მათი განმსაზღვრელი მოტივები. და პირიქით რაც უფრო შორს არის ისინი ერთმანეთისგან მით უფრო განსხვავდება მათი გამომწვევი მოტივები ( Schwartz & Shalom, 2012).

შვარცი ამ ღირებულებებს ალაგებს ორ ურთიერთსაწინააღმდეგო პოლუსზე: ცვლილებებისადმი ღიაობა და კონსერვაცია, თვითგაძლიერება და თვითტრანსცენდენტურობა. თუმცა შვარცი მეორე დაყოფის პრინციპსაც გამოყოფს, ეს არის ინტერესი, რომელსაც ემსახურებიან ღირებულებები. ამის მიხედვით იგი განასხვავებს პიროვნულ ინტერესებისა და სოციალური ინტერესების გამომწვევ ღირებულებებს. პიროვნული ინტერესების გამომწვევი ღირებულებებია: მიღწევა, ძალაუფლება, ჰედონიზმი, სტიმულაცია და თვითმართვა. სოციალურ ინტერესებს კი გამოხატავენ: უსაფრთხოება, კონფორმულობა, ტრადიცია, უნივერსალურობა, გულმოწყალება. ღირებულებათა კლასიფიკაციის მესამე ტიპი შვარცის მიხედვით არის შფოთვა. და იგი ამის მიხედვით გამოყოფს შფოთვის შემცველ ღირებულებებს, რასაც თავდაცვით ღირებულებებს უწოდებს და შფოთვისგან თავისუფალ, დაცლილ ღირებულებებს, რომლებიც მიმართულნი არიან თვით-განვითარებაზე. შფოთვის შემცველი ღირებულებები ანუ თავდაცვითი ღირებულებებია: მიღწევა, ძალაუფლება, უსაფრთხოება, კონფორმულობა და ტრადიცია. ისინი მიმართულია საფრთხისგან თავდაცვაზე და მიზნის დაკარგვის პრევენციაზე. შფოთვისგან თავისუფალი ღირებულებებია: ჰედონიზმი, სტიმულაცია, თვითმართვა, უნივერსალიზმი და გულმოწყალება. ისინი ხელს უწყობს მიზნის მიღწევას და არიან თვითგანვითარებადნი. ასევე შვარცი სხვა კვლევაში(Schwartz and Bardi, 1997)აღნიშნავს, რომ ღირებულებებზე გავლენას ახდენს სოციო-ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემა, რელიგია და ისტორიული კონტექსტი. ღირებულებები რელიგიისა და დროის გავლენით ადაპტირდება და ერგება არსებულ შესაძლებლობებსა და სიტუაციას.

ვანესა დელპიერმა და რებეკა დალნერმა, 2003 წელს ჩატარებულ კვლევაში „ღირებულებები და რელიგიურობა: მეტა-ანალიზი შვარცის მოდელის მიხედვით“ (Values and religiosity: a meta-analysis of studies using Schwartz’s model), განიხილეს 5 ქვეყნის მაგალითი. ყველა იყენებს შვარცის ღირებულების მოდელს იმისთვის, რომ გამოიკვლიოს, თუ როგორ არის დაკავშირებული რელიგიურობა ღირებულებების მნიშვნელობასთან. შედეგებს მივყავართ დასკვნამდე, რომ რელიგიური ადამიანებისთვის უფრო მეტად მისაღებია ღირებულებები, რომლებიც იცავენ სოციალურ და ინდივიდუალურ წესრიგს. ეს ღირებულებები უფრო მეტად ტრადიციასთან და კონფორმულობასთან არის კავშირში და ნაკლები ხარისხით უსაფრთხოებასთან. მეორე მხრივ, რელიგიურ ადამიანებს არ მოსწონთ ღირებულებები, რომლებიც ხელს უწყობენ ცვლილებებისადმი მზაობას და ავტონომიის გავრცელებას, რაშიც იგულისხმება სიმულაცია და ვოლუნტარიზმი (იგივე, გვ.3).

იმავე კვლევის მიხედვით რესპონდენტებს მოსწონთ ღირებულებები, რომლებიც ლიმიტირებულად თვითგამოხატვის ნებას რთავენ, უარყოფენ ჰედონიზმს და საკუთარი თავის გაუმჯობესებას მიღწევებისა და პოლიტიკური ძალაუფლების კუთხით ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებენ. ბევრი ეფექტი იყო მუდმივი სხვადასხვა რელიგიის დენომინაციებში (ქრისტიანები, იუდეველები და მუსლიმანები) და კულტურებში, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ამ ეფექტების მაგნიტუდა დამოკიდებული იყო ქვეყნების სოციო-ეკონომიკურ განვითარებაზე (იგივე, გვ.4).

მაიკლ ველჩმა (Michael R. Welch), ჩარლზ ტიტლმა (Charles R. Tittle) და ჰაროლდ გრაზმიკმა (Harold G. Grasmick) ჩაატარეს მეტა-ანალიზი სახელწოდებით „ქრისტიანული რელიგია. თვითკონტროლი და სოციალური კონფორმულობა“(Christian religiosity. Self-control and Social Conformity), რომელიც 2006 წლის მარტში დაიბეჭდა ოქსფორდის უნივერსიტეტის ჟურნალში. ანალიზში თავდაპირველად ნათქვამია, რომ საზოგადოებრივი წესრიგისა და სოციალური ცვლილებების ამხსნელი სოციოლოგები არიან ორიენტირებულნი სოციალიზაციისა და სოციალური კონტროლის პროცესზე. ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ სტრუქტურასა და ინსტიტუტების ფუნქციონირებას, განსაკუთრებით კი ისეთ პროცესებსა და დაწესებულებებს, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიონ სოციალურ მოვლენებზე. რელიგია კი ასეთი სოციალური ინსტიტუტების სათავეში ექცევა. რელიგიის მნიშვნელობა ნაწილობრივ დამოკიდებულია სოციოლოგების მიერ გამოტანილ დასკვნებზე, რომ რელიგიურობა ხელს უწყობს ინტერნალიზებულ ნორმებს და ეფექტურად თრგუნავს ძალადობას(Welch &Tittle, 1983). ჰარისის (Harris, 2003), შერკატისა და ელისონის (Sherkat and Ellison, 1999) მიერ ჩატარებული კვლევები უარყოფს რელიგიის გავლენას დევიანტურ საქციელზე, მაგრამ მკვლევართა უმრავლესობა ადასტურებს ინდივიდულური რელიგიურობის შესაძლებლობას იწინასწარმეტყველოს კავშირი კანონმორჩილების, ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის მიღებისგან თავის შეკავებასა და სოციალური ნორმების დაცვას შორის.

მთავარი უპასუხო შეკითხვაა თუ ზუსტად, როგორ მიყავს რელიგიას კონფორმულობა სოციალურ ნორმებამდე. არსებობს კონკრეტული დასკვნები რის საფუძველზეც შეგვიძლია ვთქვათ, რომ რელიგიური ინდივიდები არიან მორჩილები, რადგან ეშინიათ ზებუნებრივი მოვლენებისა, რომლებიც შეიძლება განიცადონ სიცოცხლის პერიოდში ან სიკვდილის შემდგომ ცხოვრებაში. (Burcett &White, 1974; Jensen & Erickson, 1979) სხვები აყალიბებენ თეორიას, რომ რელიგიური სწავლება ეხმარება ადამიანებს მორალური ვალდებულებების ინტერნალიზებაში, რაც არეგულირებს მათ საქციელს და თავიდან აცილებს დანაშაულის გრძნობას. (Bandura, 1977) მკვლევრების ნაწილი ფიქრობს, რომ რელიგიური გამოცდილება ადამიანებს აკავშირებს ერთმანეთთან და იქმნება მორწმუნეთა კავშირები, რომელთა

სოციალური ქმედებებიც ამცირებენ დევიანტურ საქციელს და ამას ეწოდება ,,საზოგადოების ეფექტი“(Stark &Bainbridge, 1996).

## მეთოდოლოგია

კვლევაში გამოყენებულია მეთოდების ტრიანგულაცია, რომელიც გულისხმობს კონკრეტული ფენომენის შესასწავლად რამოდენიმე მეთოდის გამოყენებას, შესაძლებლობას გვაძლევს გამოვასწოროთ ის ხარვეზები, რაც ერთი კონკრეტული მეთოდის გამოყენებისას გამოვლინდა და შედეგად შეასუსტა კვლევის შინაგანი ან გარეგანი ვალიდობა. ამისთვის საჭიროა შევიმუშავოთ კვლევის ისეთი სტრატეგია, რაც საშუალებას მოგვცემს შევინარჩუნოთ, როგორც მაღალი შინაგანი, ასევე მაღალი გარეგანი ვალიდობა.

ჩვენი კვლევის ძირითადი თემა იყო თუ რა გავლენას ახდენს რელიგია სოციალური ქცევის ტიპების ჩამოყალიბებაზე. ამ შემთხვევაში ჩვენი კვლევა მოიცავდა თვისება-დისპოზიციის მიმართებას, სადაც თვისება იყო რელიგიურობა/ არარელიგიურობა, ხოლო იგი განაპირობებდა ისეთ სოციალური ქცევის ტიპებს როგორებიცაა: ჰედონიზმი და კონფორმულობა, ამ შემთხვევაში სწორედ ეს ორი სოციალური ქცევის ტიპი შეგვიძლია ჩავთვალოთ დისპოზიციად.

ჩვენი კვლევის ფარგლებში გამოვიყენეთ მსოფლიო ღირებულებების ფონდის მეექვსე ტალღის კვლევის ბაზა, რომელიც საქართველოში ჩატარდა 2014 წელს. კვლევა ჩავატარეთ რაოდენობრივი მეთოდოლოგიის გამოყენებით, რადგან ასეთი გზით მოპოვებული მონაცემები ექვემდებარება სტატისტიკურ ანალიზს და გვაძლევს საშუალებას ჩავატაროთ ისეთი ოპერაციები, როგორიცაა: ბივარიაციული ანალიზი, კროსტაბულაციებისა და სიხშირეების დათვლა. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე დაგვჭირდა ზოგიერთი ცვლადის რეკოდირება ან ახალი ინდექსების შექმნა, რისი საშუალებაც მოგვცა რაოდენობრივმა მონაცემებმა. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე შევარჩიეთ კონკრეტული ინდიკატორები, რომელთა დაკვირვების შედეგადაც შეგვეძლო საკვლევ ცვლადებთან მიმართებაში კონკრეტული დასკვნების გამოტანა. კონფორმულობის გასაზომად გამოვიყენეთ შემდეგი ინდიკატორები, რომლებიც ეყრდნობა შვარცის ღირებულებების სკალას:

· პიროვნებისთვის მნიშვნელოვანია არ გააკეთოს საზოგადოებისათვის მიუღებელი საქციელი

· პიროვნებისთვის მნიშვნელოვანია ტრადიციული ღირებულებებისა და ადათ-წესების დაცვა.

ჰედონიზმის გასაზომად- შემდეგი ინდიკატორები:

· პიროვნებისთვის მნიშვნელოვანია ვოლუნტარიზმი.

· პიროვნებისთვის მნიშვნელოვანია იყოს მდიდარი.

· პიროვნებისთვის მნიშვნელოვანია თავს უარი არ უთხრას სიამოვნების მიღებაზე.

· პიროვნებისთვის მნიშვნელოვანია თავიდან აიცილოს საფრთხე.

ხოლო რელიგიურობა გაიზომება შემდეგი ინდიკატორებით:

· საეკლესიო ან რელიგიური ორგანიზაციის წევრობა

· ნდობა ეკლესიების/რელიგიური ლიდერების მიმართ

· რელიგიურ მსახურებაზე დასწრება

· ლოცვა

· ღმერთის რწმენა

· ინდივიდის ცხოვრებაში ღმერთის მნიშვნელობა

· ჯოჯოხეთის რწმენა

· სიკვდილის შემდეგ იმქვეყნიური ცხოვრების რწმენა

უკვე ჩატარებული კვლევის ბაზის ხელახალი გაანალიზების შედეგად გამოვლინდა რამოდენიმე მეთოდოლოგიური შეზღუდვა. პირველ რიგში შეზღუდვა ეხებოდა კითხვარს, მიუხედავად იმისა, რომ კითხვარი იყო ნათარგმნი და ადაპტირებული იმ გარემოსთან, სადაც უნდა ჩატარებულიყო კვლევა, ამ შემთხვევაში საქართველოს სოციო-ეკონომიკურ რეალობასთან, არ ჩატარებულა კითხვარის პრეტესტირება, რამაც შემდგომში გამოიწვია კვლევის შინაგანი ვალიდობის დარღვევა. ასევე პრობლემას ქმნიდა პირდაპირ ნათარგმნი, არაადაპტირებული შვარცის სკალა, რაც რეალურად ვერ ზომავს საკვლევ ცვლადებს.

კვლევის ვალიდობის ასამაღლებლად და საკითხის სიღრმისეულად შესასწავლად ასევე მივმართეთ თვისებრივ მეთოდოლოგიას, კერძოდ კი გამოვიყენეთ ფოკუს-ჯგუფის მეთოდი. ჯგუფურმა დისკუსიამ საშუალება მოგვცა მიგვეღო სრულყოფილი პასუხები ჩვენს საკვლევ კითხვაზე და ასევე შევძელით დავკვირვებოდით რესპონდენტთა არავერბალურ ქცევას, რამაც კვლევისათვის დამატებითი მასალა მოგვაწოდა.

კვლევის ფარგლებში გამოვიყენეთ მიზნობრივი შერჩევა. კვლევაში მონაწილეობა მიიღო თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, იურიდიულ და მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებმა. სულ ჯგუფურ დისკუსიაში მონაწილეობდა16 რესპონდენტი, აქედან 11 იყო მდედრობითი სქესის წარმომადგენელი, ხოლო 5-მამრობითის. მონაწილეების საშუალო ასაკი 18-დან 22 წლამდე მერყეობდა.

კვლევის ფარგლებში ჩავატარეთ ორი ფოკუს-ჯგუფი, შემდეგ კი თითოეული მათგანისთვის გავაკეთეთ ტრანსკრიფტი, სადაც კონფიდენციალობის დასაცავად თითოეულ რესპონდენტს მივანიჭეთ კოდი. ამ ნედლი მასალის გასაანალიზებლად საჭირო იყო მონაცემების დაჯგუფება, რის შედეგადაც გამოიყო 6 ძირითადი კატეგორია.

## შედეგები და ანალიზი

ვინაიდან ვიკვლევთ რელიგიის გავლენას სოციალური ქცევის ტიპებზე, რელიგიური რწმენის ინდიკატორად, მსოფლიო ღირებულებების ფონდის მიერ 2014 წელს ჩატარებული კვლევის კითხვარიდან, ავიღეთ ღმერთის რწმენა. რესპონდენტთა თითქმის სრულმა უმრავლესობამ (99%-მა) უპასუხა, რომ სჯერა ღმერთის, ხოლო 1%-მა უპასუხა, რომ არ სჯერა.

მეორე ინდიკატორი, რითიც განვსაზღვრეთ რელიგიური რწმენა არის თავად რელიგიის მნიშვნელობა პიროვნებისთვის. რესპონდენტების 84% თვლის, რომ რელიგია მათ ცხოვრებაში ძალიან მნიშვნელოვანია. აქაც იგივე ტენდენცია ვლინდება და ძირითადი გამოკითხული ჯგუფი არის ის, ვისთვისაც მნიშვნელოვანია რელიგია ცხოვრებაში. (იხ. დიაგრამა N 1)

მიუხედავად იმისა, რომ თითქმის სრული უმრავლესობა რელიგიურია და ღმერთის სწამს, მხოლოდ გამოკითხულთა 20% დადის ხშირად ეკლესიაში და ლოცულობს. 52% კი იშვიათად დადის ეკლესიაში და იშვიათად ლოცულობს.ღმერთის რწმენის მიუხედავად ისინი არ არიან რელიგიურ ცხოვრებაში ჩართულნი. (იხ დიაგრამა N2)

დიაგრამა N 1

დიაგრამა N 2

კვლევის მიზნების შესასრულებლად და ჰიპოთეზის შესამოწმებლად საჭიროა რელიგიური და არარელიგიური ადამიანების დაბალანსებული რაოდენობა, რათა დავადგინოთ რელიგიის მიმართება სოციალურ ქცევაზე ყალბია თუ არა ანუ

ნამდვილად ახდენს თუ არა გავლენას ის სოციალურ ქცევებზე, როგორიცაა კონფორმიზმი და ჰედონიზმი. თუმცა ეს მონაცემები ამის დადგენის საშუალებას არ იძლევა.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე გვაინტერესებდა რამდენად აიგივებენ რესპონდენტები საკუთარ თავს კონფორმულ ადამიანთან. კვლევის შედეგებიდან გამომდინარე კი გამოკითხული რესპონდენტიდან უმრავლესობა ამბობდა, რომ ჰგავს კონფორმულ ადამიანს. ხოლო მათი რაოდენობა ვინც ამბობდა, რომ არ ჰგავს ასეთი ღირებულებების ადამიანს არ აღემატებოდა გამოკითხულთა 8%-ს, რაც საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია. შვარცის თეორიიდან გამომდინარე გადავამოწმეთ რელიგიური ჩართულობა ახდენდა თუ არა გავლენას კომფორმულ ქცევაზე. მონაცემებიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი, ვინც თავს კონფორმულად მიიჩნევს უფრო ხშირად დადიან ეკლესიაში და ლოცულობენ. გამოკითხულთა თითქმის 92% მიიჩნევს, რომ ჰგავს კონფორმული ქცევის ადამიანს და მათი 21% ხშირად ლოცულობს და დადის ეკლესიაში, ხოლო 52% იშვიათად. ასევე განვსაზღვრეთ ახდენდა თუ არა რელიგიური ჩართულობა გავლენას ჰედონისტური ღირებულებების მქონე ადამიანზე. ამ ორი კროსტაბულაციის მიხედვით ვადგენთ, რომ რესპონდენტები, რომლებიც თავს ამსგავსებენ ჰედონისტური ღირებულებების მქონე ადამიანს და რესპონდენტები, რომლებიც თავს ამსგავსებენ კონფორმული ღირებულებების მქონე ადამიანს თითქმის ერთნაირად არიან ჩართულნი რელიგიურ ცხოვრებაში.

როდესაც რესპონდენტებს დაუსვეს კითხვა თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო მათ ცხოვრებაში რელიგია, იმ რესპონდენტების უმრავლესობამ (86%), რომლებმაც აღნიშნეს, რომ ჰგავს ჰედონისტური ღირებულების ადამიანებს უპასუხა, რომ მათ ცხოვრებაში ძალიან მნიშვნელოვანია რელიგია. თუმცა დაახლოებით იგივე პასუხი მივიღეთ იმ რესპონდენტებისგანაც, ვინც თქვა, რომ არ ჰგავს ჰედონისტური ღირებულებების ადამიანს, 83%-მა უპასუხა, რომ რელიგია ძალიან მნიშვნელოვანია მათთვის. ამ მონაცემებიდან დასკვნების გამოტანა რთულია, ვინაიდან თითქმის ერთნაირი მონაცემებია, რეალურად კი ისინი უნდა განსხვავდებოდნენ მნიშვნელოვნად. ეს შესაძლოა სკალის მოუქნელობის ბრალი იყოს. ვინაიდან კვლევა ტარდება სხვადასხვა ქვეყანაში სკალები პირდაპირ ითარგმნება და არ ერგება ქვეყნის კულტურას (იხ. დიაგრამა N3).

დიაგრამა N 3

იმავე კითხვაზე კონფორმული ადამიანების 87%-მა უპასუხა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია რელიგია მათ ცხოვრებაში. ხოლო არაკონფორმული ადამიანების 66%-მა აღნიშნა, რომ რელიგია ძალიან მნიშვნელოვანია მათთვის. ვინაიდან არაკონფორმული ადამიანების რაოდენობა გაცილებით მცირეა ვიდრე კონფორმული

ადამიანების დასკვნების გამოტანა და განზოგადება კროსტაბულაციიდან ძალიან რთულია.

კვლევის ფარგლებში ასევე მნიშვნელოვანი იყო აღწერით სტატისტიკასთან ერთად გამოგვეყენებინა ბივარიაციული ანალიზი (კორელაცია), რათა გვეჩვენებინა კავშირი რელიგიის მნიშვნელობას, რელიგიურ ჩართულობასა და სოციალური ქცევის ტიპებს შორის. შვარცის მიხედვით ღირებულებებზე გავლენას ახდენს სოციო-ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემა, რელიგია და ისტორიული კონტექსტი. ღირებულებები რელიგიისა და დროის გავლენით ადაპტირდება და ერგება არსებულ შესაძლებლობებსა და სიტუაციას (Schwartz & Bardi, 1997). ჩვენ გვაინტერესებდა რელიგიური ფაქტორის ზემოქმედება ღირებულებებზე, რომლებიც გავლენას ახდენენ სოციალური ქცევის ტიპებზე. ზემოთ განხილული მიზეზების გამო, ჩვენი კვლევის ფარგლებში კორელაციების მეშვეობით ვნახეთ, რამდენად არსებობდა კავშირი რელიგიის მნიშვნელობასა და რესპონდენტის კონფორმული/ჰედონისტური ღირებულებების მქონე ადამიანთან მსგავსებას შორის. სპირმენის რო-ს (Spearman's rho) მეშვეობით დავითვალეთ კორელაცია ჰედონისტური ღირებულებების მქონე ადამიანთან მსგავსებასა და რელიგიის მნიშვნელობას შორის, რის შედეგადაც გამოვლინდა, რომ არის ძალიან სუსტი დადებითი კორელაცია (0.07). ასევე ძალიან მცირე დადებითი კორელაციაა (0.16) კონფორმული ღირებულებების მქონე ადამიანთან მსგავსებასა და რელიგიის მნიშვნელობას შორის. თუმცა აღსანიშნავია, რომ ორივე შემთხვევაში მიუხედავად მცირე განსხვავებისა, მიმართება არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ($p < 0.05$). ეს პასუხები შესაძლოა აიხსნას ჯგუფების ერთგვაროვნებით, გამოკითხულთა უმრავლესობამ (84%) რელიგია ძალიან მნიშვნელოვნად ან მნიშვნელოვნად (12%) დაასახელა, რაც იმას ნიშნავს რომ კვლევაში იმ ადამიანთა ხვედრითი წილი, ვისთვისაც რელიგია არ არის მნიშვნელოვანი ძალიან დაბალია.

აქედან გამომდინარე გადავწყვიტეთ სხვა ინდიკატორის მიხედვით დაგვეთვალა კორელაცია, სადაც მეტნაკლებად თანაბრად იყო განაწილებული პასუხთა სიხშირე. ასეთი ინდიკატორი იყო რელიგიური ჩართულობა (იხ. დიაგრამა N2), თუმცა ამ ცვლადსა და რესპონდენტის კონფორმული/ჰედონისტური ღირებულებების მქონე ადამიანთან მსგავსებას შორის დამყარდა ძალიან მცირე დადებითი კორელაცია, რომელშიც მიმართება არ იყო სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ($p > 0.05$). ამ სტატისტიკურ ოპერაციებზე დაყრდნობით შესაძლოა ვთქვათ, რომ ჩვენი ჰიპოთეზა, რაც უფრო მნიშვნელოვანია რელიგია ინდივიდისთვის, მით უფრო კონფორმულია მისი ქცევა არ დადასტურდა.

ეს კვლევა ერთი და იმავე კითხვარის მეშვეობით ტარდება სხვადასხვა ქვეყანაში, რომლებსაც გააჩნიათ განსხვავებული კულტურები. ნეილ სმელზერის მიხედვით კულტურა ახდენს რწმენის, ღირებულებებისა და გამომსახველი საშუალებების (რომლებიც გამოიყენება ხელოვნებასა და კულტურაში) სიმბოლიზირებას,

რომლებიც საერთოა რაიმე ჯგუფისთვის; ისინი აწესრიგებენ ამ ჯგუფის წევრთა გამოცდილებას და არეგულირებენ მათ ქცევას. ნეილ სმელზერი ასევე თავის წიგნში ,,სოციოლოგია‘‘ აღნიშნავს იმასაც, რომ ადამიანთა კულტურები მრავალფეროვანია. ღირებულებები და ნორმები ფართოდ ვარირებს ერთი კულტურის საზღვრებშიც კი და ხშირად დიამეტრულად განსხვავდება იმისგან რაც სხვა კულტურაში ,,ნორმად" მიიჩნევა (სმელზერი, 1981). კულტურათა განსხვავებულობის გამო შესაძლოა არაადაპტირებულმა კითხვარმა კვლევის შინაგან ვალიდობას შეუქმნას საფრთხე, ამიტომ საჭიროა კითხვარის ადაპტირება და იმ კულტურულ რეალობაზე მორგება, სადაც ტარდება კვლევა.

ასევე საინტერესო იყო გვეკვლია სტუდენტების დამოკიდებულება რელიგიისადმი. თუ რამდენად არიან ჩართულნი რელიგიურ ცხოვრებაში და რამდენად აყალიბებს რელიგია მათ სოციალურ ქცევას. ამ მიზნების განსახორციელებლად კვლევის ფარგლებში ჩატარდა 2 ფოკუს-ჯგუფი, რომელმაც გამოკვეთა ტენდენცია, რომ ინდივიდში რელიგიურობის ჩამოყალიბებაზე მოქმედებს სხვადასხვა სოციალური ინსტიტუტი. დისკუსიიდან გამომდინარე დასახელდა სამი ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტიტუტი, ესენია: ოჯახი, საზოგადოება და ეკლესია.

ფოკუს-ჯგუფის მონაწილეთა აზრით, ოჯახი არის პატარა საზოგადოება და ინდივიდი ყოველგვარ ღირებულებას სწორედ, რომ მისგან იღებს და ითვისებს. ოჯახი შესაძლოა ახდენდეს გავლენას რელიგიურობის ჩამოყალიბებაზეც და ეს გავლენაც შეიძლება გავიგოთ ორი კუთხით: ნეგატიური და პოზიტიური გავლენა.

ზოგიერთ შემთხვევაში ოჯახი პოზიტიურად მოქმედებს რელიგიურობის ჩამოყალიბებაზე. ეს აიხსნება იმით, რომ ადამიანი სოციალური არსებაა, რომელიც საზოგადოებასთან ურთიერთობით და ამ საზოგადოებაში არსებული ინსტიტუტების ზეგავლენით ყალიბდება სოციალიზაციის პროცესში. სოციალური ინსტიტუტები და განსაკუთრებით ოჯახი განსაზღვრავს ინდივიდის დამოკიდებულებებს, რადგან სოციალიზაციის პროცესი მიდის მიხედვით სწორედ თამაშის სტადიით იწყება. ამ ეტაპზე ბავშვი ითვისებს პირველადი სოციალური ჯგუფის წევრებისთვის (ამ შემთხვევაში ოჯახი) დამახასიათებელ სოციალურ როლებსა და სტატუსებს (კაჭკაჭიშვილი, 2001, გვ. 164), რომელიც შემდგომში პიროვნების ღირებულებით დამოკიდებულებებს განსაზღვრავს და მათ შორის ადამიანს უყალიბებს რელიგიურობასაც, რადგან სწორედ რელიგიაა ერთ-ერთი ფაქტორი, რომლის დახმარებითაც ხდება ბავშვისთვის ღირებულებების გადაცემა.

ოჯახი ტრადიციული ღირებულებების კვლავწარმოებასა და მათ მომავალ თაობაში გავრცელებას უწყობს ხელს. ის ამ შემთხვევაში თამაშობს მედიატორის როლს, რომელიც ცდილობს ერთმანეთს მოარგოს ტრადიციული ღირებულებები და ინოვაციები ისე, რომ შეინარჩუნოს სოციალური წესრიგი. კონტის აზრით, ,,ოჯახი ერთი მხრივ,ამზადებს მომავლის საზოგადოებას, მეორე მხრივ ყოველი ახალი ოჯახი

აგრძელებს არსებული საზოგადოების ცხოვრებას“ (ბერძენიშვილი, 2013), ეს პროცესი ციკლური ხასიათისაა და სოციალური წესრიგის შენარჩუნებაში მთავარი როლი აკისრია. კონტის აზრით ,,ოჯახი წარსულ თაობათა გამოცდილების, ტრადიციების გადამცემი და მცველია“ (ბერძენიშვილი, 2013). აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ოჯახი ინდივიდის ვოლუნტარიზმს თრგუნავს ობიექტურად რელევანტური ტრადიციული ღირებულებებით. ზოგ შემთხვევაში კი ეს არის რელიგიური ღირებულებები, რომლებიც ადამიანებს უბიძგებს დათმონ საკუთარი სურვილები და გახდნენ მეტად კონფორმულები.

ფოკუს-ჯგუფის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ეკლესია არის რელიგიური ინსტიტუტი, სადაც მოღვაწეობენ სასულიერო პირები. ეკლესია არის შუამავალი ღმერთსა და ადამიანს შორის, ამიტომაც მას უდიდესი წვლილი აქვს პიროვნების რელიგიურობის ჩამოყალიბებაში. ის თუ, როგორ მიაწოდებს სამღვდელოება და სასულიერო პირები რელიგიას, ხშირად გარდამტეხი ხდება ადამიანის გონებაში. რესპონდენტთა ნაწილი აღნიშნავდა, რომ ისინი ტაძარში სწორედ სასულიერო პირების მიმართ გაჩენილი პროტესტის გამო აღარ დადიან.. ზოგი კი პირიქით აღნიშნავდა, რომ პრობლემა მხოლოდ ადამიანებშია. ამის მიხედვით გამოიყო ორი ქვეჯგუფი: ეკლესიის პოზიტიური გავლენა რელიგიურობის ჩამოყალიბებაზე და ეკლესიის ნეგატიური გავლენა რელიგიურობის ჩამოყალიბებაზე.

რესპონდენტთა აზრით, რელიგიურობის ჩამოყალიბებაზე ოჯახთან და ეკლესიასთან ერთად სოციუმიც მოქმედებს. რესპონდენტების უმრავლესობა თვლის, რომ მათზე დიდი გავლენა მოახდინა მეზობლების, მგობრებისა და სხვა ირგვლივ მყოფი ადამიანების დამოკიდებულებებმა რელიგიის მიმართ.

ჯგუფისა და ინდივიდის ურთიერთმიმართებაზე საუბრობდა სოციოლოგი მაქს ვებერი, რომლის აზრით, მნიშვნელოვანია ინდივიდის გადაწყვეტილებასა თუ ქცევაზე სხვა ინდივიდთა გავლენა, რადგან სოციალური ქცევა მოიცავს ინდივიდის ან ჯგუფის სუბიექტურ მოტივაციას და სხვაზე (ან სხვებზე) ორიენტაციას (მოლოდინს) (ბერძენიშვილი, 2013, გვ 218).

ფრანგი სოციოლოგ გუსტავ ლებონი (Gustave lebon) იყენებს ტერმინს “სოციალური ინფექცია”, რომელიც გულისხმობს, რომ ბრბოს ქცევა გადამდებია. ისევე როგორც გრიპი, ერთი ადამიანის ემოციები სხვა ადამიანებზეც ვრცელდება, როდესაც ერთი ადამიანი ახორციელებს ისეთ ქცევას, რომელიც სხვა ადამიანებისათვის ჩვეულებრივ მიუღებელია, ყველა ცდილობს მისი ქცევის გამეორებას. ბრბოში ადამიანი კარგავს საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის გრძნობას და კონტროლის სისტემა სუსტდება. ლებონი აღნიშნავს, რომ კოლექტივში ინდივიდუალური უნარები ქრება და მათი პიროვნულობა იკარგება (Taylor, 2006).

ფოკუს-ჯგუფიდან გამომდინარე გამოიკვეთა რელიგიური ჩართულობის 3 ტიპი:

· აქტიური ჩართულობა

· პასიური ჩართულობა

· კრიტიკული კუთხით ჩართულობა

თითოეული ჩართულობის ფორმას მიესადაგება ატიტუდების მქონე ადამიანი, რომელიც განხილულია კახა ქეცბაიას წიგნში „რელიგიის სოციოლოგია“ და რელიგიურობის ტიპოლოგიის სქემაზე დაყრდნობით გამოკვეთს რელიგიური ადამიანების შემდეგ სახეებს:

· მორწმუნე, რომლის ცხოვრებისეული ორიენტაციის განმსაზღვრელია რელიგია და რელიგიური რწმენა.

· მორწმუნე, რომლის ცხოვრებისეულ ორიენტაციაში რელიგია მნიშვნელოვანია, მაგრამ არა განმსაზღვრელი.

· მორწმუნე, რომლის რელიგიური ორიენტაცია არარელიგიურობაზეა დამყარებული.

· რწმენასა და ურწმუნოებას შორის მერყევი ადამიანები

მაგრამ ავტორი დასძენს, რომ რელიგიურობის მსგავსი ტიპოლოგია არ არის უნივერსალური და მისი სხვა ვერსიებიც არსებობს (ქეცბაია, 2013, გვ. 37).

მიუხედავად იმისა ჩართულია თუ არა რესპონდენტი რელიგიურ ცხოვრებაში ის მაინც ხდება რელიგიურ დოგმათა გამზიარებელი, რადგან რესპონდენტთა აზრით, რელიგია მოქმედებს ტრადიციული ღირებულებების კვლავწარმოების პროცესზე და აწვდის ინდივიდს გარკვეულ ღირებულებებს, რომელიც შემდგომ ხდება სოციალური ქცევის საფუძველი.

დასკვნა

დასკვნის სახით კი შეიძლება ითქვას, რომ რელიგია ზემოქმედებს ინდივიდის ქცევაზე, ხოლო ინდივიდის მოქმედება ხშირ შემთხვევაში მიემართება სოციუმს და განპირობებულია მის მიერ, მაგრამ მიუხედავად ამისა კვლევის შედეგად ჩვენი სამუშაო ჰიპოთეზა, რომელიც შემდეგნაირად ფორმულირდებოდა, რაც უფრო მნიშვნელოვანია რელიგია ინდივიდისთვის, მით უფრო კონფორმულია მისი ქცევა,

არ დადასტურდა. რადგან კავშირი რელიგიასა და სოციალური ქცევის ტიპებს შორის არსებული ბაზის მიხედვით არის ძალიან მცირე. კვლევის კიდევ ერთი მიგნებაა ის, რომ მეორადი მონაცემების ანალიზის შედეგად მიღებული პასუხები არარელევანტურობის საფრთხეს შეიცავს, რადგან კვლევის ინსტრუმენტი გაუმართავია და არ არის ადაპტირებული ქართულ სოციო-კულტურულ რეალობასთან შესაბამისად კვლევის შინაგანი ვალიდობა დაბალია.

ფოკუს-ჯგუფის შედეგად დადგინდა, რომ პიროვნებაზე რელიგიურობის გავლენა ინდივიდუალურია და სხვადასხვა რელიგია სხვადასხვაგვარად მოქმდებს სოციალური ქცევის ტიპების ჩამოყალიბებაზე. ასევე რელიგიურობის ჩამოყალიბებას ხელს უწყობს ისეთი სოციალური ინსტიტუტები, როგორიცაა: ოჯახი, ეკლესია, სოციუმი.

რეკომენდაციის სახით შეიძლება ითქვას, რომ საჭიროა კვლევის დაწყებამდე კვლევის ინსტრუმენტის (კითხვარის) შემოწმება და ადაპტირება იმ სოციო-კულტურულ გარემოსთან, სადაც კვლევა ტარდება. ასევე საჭიროა ეკლესიაში გატარდეს რეფორმები და მოდერნიზაცია განიცადოს გარკვეულმა დოგმებმა.სასურველია ეკლესია გახდეს მრევლზე ორიენტირებული და არ მოუწოდოს მათ კონფორმულობისაკენ.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ბერძენიშვილი, ა; (2013); კლასიკური სოციოლოგიური თეორიები; თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა.

2. კაჭკაჭიშვილი, ი; (2001); სოციალური მოქმედების თეორია; თბილისი; მეცნიერება.

3. ქეცბაია, კ; (2013); რელიგიის სოციოლოგია; თბილისი; უნივერსალი.

4. Delpierre, V & Dernelle, R; (2003); Values and religiosity: a meta-analysis of studies using Schwartz’s model; Belgium;Université catholique de Louvain.

5. Schwartz, H. Shalom (2012);An Overview of the Schwartz Theory of Basic Values;OnlineReadings in Psychology and Culture.

6. Smelser, N; (1981); Sociology.

7. Taylor, S.E., &Peplau., L.A., & Sears D.O. (2006).SocialPsichology.Prentice Hall

8. Welch M. R; Tittle R. C & Grasmick G. H; (2006) Christian religiosity. Self-control and Social Conformity; Oxford University Press.